№ 55

კვირა, 13 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 55

კვირა, 13 მარტი 1894

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ტელეფონი № 92.

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

## ნავთი საუკეთესო თვისებისა

ამ ნავთს მჴვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა აბჭოს დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ"

მომზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **Ი. Ზ. ᲒᲝᲠᲜᲘᲚᲘᲡ** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა ½ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მჴვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ᲤᲣᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი ეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—8)

## მოამბის
### რედაქციისაგან

რადგან ჟურნალი «მოამბის» I ნომერი სულ დაურიგდა ხელის მომწერლებს, რედაქცია ხელ მეორედ ჰბეჭდავს ამ ნომერს და ახალ ხელის მომწერთ პირველი წიგნი აპრილის შუა რიცხვებში გაეგზავნებათ. (6—2)

### ტფილისი, 13 მარტს

მოდის დრო არჩევანებისა. წელს მარშლები უნდა იყვნენ ამორჩეულნი და ამასთან სხვა მოხელენიც თავად-აზნაურთა კრებულისა. ამავე ხანებში, რა თქმა უნდა, იქნება კრებანი ბანკისა და თავად-აზნაურთა სკოლისა. პირველი ჯურა არჩევანებისა იმოდენა ალიაქოთს არ ასტეხს ხოლმე ჩვენში, როგორც ბანკისა და სკოლისა. აქ არის ის საომარი მოედანი, საცა ჩვენი საზოგადოება, ორ დასად დაყოფილი, გამოდის ხოლმე მთელის თავის ტყვია-წამლით ერთმანეთად საბრძოლველად.

დღეს უკვე დაწყებულია, როგორც ისმის, საომრად მზადება. დარბიან თურმე შიკრიკნი და მოციქულნი კენჭოსანთა მოსაბირებლად და მოსაპოვებლად. ერთი ყოფა და ამბავია თურმე როგორც აქ, ტფილისში, ისეც სოფლებში, ტფილისის გარეთ: აბა ვინ წინა და ვინ უკანაო. არც უიმისობაა თურმე, რომ ქუთაისში, ბაქოში და ბათუმში არ იყოს გაბმული ქსელი კენჭოსანთა შესაპყრობლად.

ყოველივე ეს იქნება კარგიც იყოს, მაგრამ ამაში ერთი ცუდი და დიდი ცუდიც ის არის, რომ ამ მიქცევ-მოქცევას, მოციქულობას და ფათურობას არავითარი გამორკვეული აზრი არ უდევს საფუძვლად. აქ მარტო გალესილი ენა მოქმედობს და თავზე ხელაღებული ჭორიკანაობა. ვინ იცის, ვინ ვისზე რა ხმებს, რა ცილს, რა ჭორებსა ჰყრის. მიდის და მოდის დაუღალავი ენა და უსირცხვილო ჭორი.

ეს ამისთანა საქციელი ძნელად საფიქრებელი იქნებოდა იმისთანა ქვეყანაში, საცა, თუ ყველა არა, უფროს-ერთი მაინც თავის მამულიშვილურ მოვალეობად ჰხადიდეს ყოველი ცნობა, მის ყურამდე მიხწეული, თვით შეამოწმოს, გამოიძიოს, გამოარკვიოს და, რაც ამ გზით სინიდისმა ამხილოს, ისე მოიქცეს და არა ისე, როგორც მას ჩასჩურჩულებს მატყუარა ენაჭარტალობა. ბრმად რომ კაცი კაცს აჰყვეს საზოგადო საქმეში, ეგ ხომ მიუტევებელი დანაშაულობაა როგორც საზოგადოების, ისეც ქვეყნის წინაშე.

რა თქმა უნდა, ნამუსიანი და პატიოსანი კაცი, რაკი საზოგადო საქმის განკითხვაში მონაწილეობას მიიღებს ასე თუ ისე საქმის წარმართვისათვის, ჯერ ყველაზე ადრე თვითონ ჩაუკვირდება საქმეს, მის ავ-კარგიანობას თვითონვე მოუნახავს თავსა და ბოლოს და თავის სინიდისიერ მოქმედებისათვის მტკიცე საბუთს დაიჭერს ხელში. მარტო ამ გზით სვლა ჰზრდის და სწურთნის საზოგადოებურ ზნეს, მარტო ესეთი გზა ამაღლებს და აპატიოსნებს საზოგადო ასპარეზზედ მოსაქმეს და მარტო ამისთანა გზას მიჰყავს საზოგადოება და ქვეყანა იმ კეთილამდე, რომელიც სასურველია და რომელიც უნდა ასულდგმულებდეს თვითეულს ცალკე მომქმედსა. მარტო ამისთანა გზაა საკადრისი, უჩირქო და უმწიკვლო თვითეულ მომქმედისათვის, სხვა ყოველი სინიდისის, სიმართლის, ზნეობის შემაგინებელია და შემლახველი, გამრყვნელია თვითეულისა ცალკე და ყველასი ერთად და დამამცირებელია თვით მოქმედის ადამიანურ ღირსებისა.

ვისაც მართლა გული სტკივა საზოგადო საქმისათვის, ვინც მართლა ქვეყნისათვის იღვწის და არა მარტო თავის თავისათვის, ჭორითა და ცილის-წამებით-კი არ უნდა ჰსცდილობდეს ფონში გასვლას, არამედ უნდა ჰმოულობდეს მოხრეს უტყუარ საბუთების შთაგონებითა და ჩვენებითა. თუ კენჭოსანთა მაძებარნი ამ წმიდა მოვალეობას გადასდგომიან, თვითონ კენჭოსანთა მაინც უპატრონონ თავის თავს, თავის ღირსებას, თავის ნამუსს და პატიოსნებას და თვალ-დახუჭულნი ნუ ეეგებიან ზედ პირველ ნასროლ ჩანგალსა.

ავსა და კარგს, რომელიც მათ ყურამდე მიდის, ისე ცარიელის სიტყვით ნურავის დაუჯერებენ: თვითონ თავის საკუთარის თვალით განიხილონ ერთიც და მეორეც, ტყუილსა და მართალს ტყუილისა და მართლის კარამდე თავისის ფეხით მიჰყვნენ, ყოველივე, რაც მათს ყურადღებას და გულის-ტკივილს მიიზიდავს, თვითონ თავისის ჭკუით და გონებით გამოიძიონ, აიღონ-დაიღონ, ყოველისფერს თავისი ნამდვილი და ჭეშმარიტი საბუთი მოუნახონ და მაშინ შეუძლიანთ სთქვან, რომ მე ჩემი წმიდა მოვალეობა ქვეყნის შვილობისა ისე ავასრულე, როგორც ჩემი პატიოსანი გული და რწმენა მამხელდაო. კიდევ ვიტყვით: მარტო ამისთანა ქცევაა ღირსი კაცურკაცობისა, ადამიანობისა. საზოგადო საქმეში მარტო მტკიცე, შეურყეველი საბუთი უნდა ჰღაღადებდეს და სხვა არაფერი, თუ კაცს ადამიანობა აქვს და მჩვრად არ არის ქცეული სხვის უწმინდურის ხელის საწმენდად.

ავისა და კარგისათვის საბუთების პოვნა დიახ ადვილია, თუ გული ჰგულობს და თუ კაცი განგებ არ ეცდება თვალი დაიბრმავოს სხვისის ჩაგონებით. სათავად-აზნაურო დეპუტატთა კრებულისა, ბანკისა და სათავად-აზნაურო სკოლის კარები ყოველთვის ღიაა იმათთვის, ვისაც-კი მართლისა და ჭეშმარიტებისათვის უცემს გული. ყოველივე ცნობა, რაც-კი ვისთვის სასურველია, შესაძლოა შემოწმებულ იქმნას დაწვრილებით თვით საქმეების გადასინჯვითა. ოღონდ მსურველი იყოს და არც ერთი ჩვენი დაწესებულებანი კარს არ დაუკეტენ, პირ-იქით, სიხარულით უშვლიან მართლის გამორკვევას ყველას, ვინც-კი ამ გზაზე სვლას მოინდომებს.

მარტო საბუთებით შეიარაღებული კაცი წარმართავს, როგორც რიგია, საზოგადო საქმესა და იმ კეთილს მოიტანს, რომლისათვისაც ჩვენი დაწესებულებანი მოიწვევენ წელს საზოგადოებას სხვა-და-სხვა საქმისათვის.

კ—შვილი

## ახალი ამბავი

*** გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში, რადგანაც სამხედრო საქართველოს გზაზედ ამ დღეებში დიდი თოვლი მოვიდა და ბევრგან პიწის ზვავები ჩამოწვა ამ ფოსტას დღეს, კვირას მოელიან აქა.

· კავკაზიის გზის სხვა-და-სხვა სადგურებიდგან გუშინ 12 მარტს დეპეშებით იუწყებოდნენ: გუდაურსა და კობს შუა ორ არშინამდე თოვლი სოვიდა. კობს იქით კავკავამდე თუმცა კიდევ თოვლს, მაგრამ თოვლი სულ ნახევარს აღლზეა. რამდენსამე ალაგას თოვლის ზვავიჩამოწვა. ყაზბეგსა და კობს შუა გზა გაასუფთავეს. კობსა და გუდაურს შუა იმედი აქვთ დღეს გაასუფთაონ გზა მხოლოდ მაიორშის ზვავზე დროებითი გზას გაიყვანენ მარხილებისათვის ზვავს ზემოდ. რუსეთის ფოსტა კობამდე მოვიდა. გუდაურიდგან ფასანაურამდე მარხილები დადიან. ტფილისიდგან გასულნი მგზავრნი და ფოსტა გუდაურში დარჩნენ. ჯვართან საშინელი ბუქია და მუშა ხალხს ეშინიანთ გამოსვლა. სადგურებში საჭმლის შოვნა არ არის და საშინელი სიძვირეა. ამბობენ, რომ გუდაურსა და კობს შუა ჩამოწოლილს ზვავს

## ფელეტონი

### ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ — ᲡᲘᲛᲮᲜᲔᲕᲔ-ᲙᲘ ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲐ.

რა არ მიუნიჭებია ღმერთს ქართველისათვის. თვისი უხვი კალთა უფალს ჩვენ სამშობლოში დაუპერტყია. საქართველო შეუმკია თვალწარმტაც მთა-ღელე-ველებით, შემრგო მდინარე-წყაროებით, მრავალფერ და მრავალგვარ მდელო-ტყე-ჭალებით, ნოყიერ და ყოველ თესლ-მარცვალთა აღმომცენებელ ნიადაგით, რომლის ქვეშე ჩამარხულია სხვა-და-სხვა მადნეული: ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, ნავთი, ძვირფასი თვალი იასპინი[1]), ქვა-გუნდა, გიშერი და სხ. ყველა ამას დაუმატეთ შინაურნი თუ გარეულნი პირუტყვნადირ-ფრინველნი, სასარგებლო მწერნი: ფუტკარი და აბრეშუმის ჭია; საწალკოტო და სამტილოვნო მცენარენი; ჩუხჩუხა და კამკამა წყარონი, საბანელნი თუ სასმურნი, აგრეთვე ჩანჩქებანი, წყალის გარდმოსაქანელნი; შეზავებული და ზომიერ სიცხე-სიგრილე-სიცივის მომგვრელი ჰავა. ერთის სიტყვით, რა გინდა სული და გული, რომ ამ ჩვენ კეკლუც სამშობლოსთვის არ მიემადლებინოს უფალს. და ამ გვარ ტურფა ქვეყნის უფლად და მთავრად იმ თავითვე ღმერთს დაუდგენია ქართველი.

აქ ურიგო არ იქნება ჩავურთოთ ძველი თქმულება შესახებ იმისა, თუ „რაისთვის კაცი დაიბადა უკანასკნელ ყოველთა".

მეათე საუკუნის ქართული ქრისტომატია[2]) იტყვის:

„არლა იყო ჯერეთ დაბადებული ესე. კაცსა ვიტყვი, პოვნილ შვენიერებასა შინა არსთასა. რამეთუ არა ჯერ-იყო, რათა გამოჩნდეს მთავარი უწინარეს სამთავროისა მისისა. არამედ ჯერ-იყო ჭეშმარიტად, რათა განიმზადოს სამეუფოჲ პირველ და მაშინ-ღა გამოჩნდეს მეფე. და ვითარ განმზადა დამბადებელმან ყოველთამან საუნჯე სამეფოჲ: და არს ესე ქვეყანაჲ, ზღვაჲ, და ხერთვისნი[3]) და ესე ცაჲ, რომელი არს მაგრილობელ მათ ზედა, და იუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრე, ესე იგი არს სიმდიდრე ყოველთა დაბადებულთაჲ: მცენარეთაჲ, და ნერგთაჲ, და ცხოველთაჲ; და ყოველნი ესე სულ და საშუმინველ. და უკეთუ გინდეს აღრაცხად სიმდიდრე ბუნებათაჲ და რომელი მათგან განშუენდების წინაშე თუალთა კაცთასა მსგავსებაჲ ოქროჲსაჲ და ვერცხლისაჲ, და ესე ქვანი პატიოსანნი და ბრწყინვალენი, რომელნი საკვირველად ჩანედ წინაშე კაცთა. რამეთუ ესე ყოვლითურთ დაიუნჯნეს კაცისათვის უბესა შინა ქვეყანისასა, ვითარცა საგანძურნი მეფეთანი.

«და ამისა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა, რათა იყოს მხედველ საკურველებათა მათ, რომელნი არიან მათ შინა და იყოს კეთილთა მათ ზედა უფალ; რათა გულის-ხმა-ყოს მოცემული იგი მისი, რომლითა იშუებდეს; და ცნას ძალი შემოქმედისა თვისისაჲ, რომელი მიუთხრობელ არს ხილულთა მათგან, და შვენიერებათა დაბადებულთა და დიდებულთა.

„და ამისთვის შეიყვანა კაცი სოფლად უკანაჲსკნელ დაბადებულთა—არათუ შეურაცხებისა მისისათვის უკანა მოაქცია, არამედ რათა იყოს მეფე დაბადებითგანვე მისით.

„ვითარცა იგი ვის ჰნებავნ სერისა ყოფაჲ, თანაალც[4]) მას, რათა განჰმზადოს პირველად რაჲ იგი უკმს საჭმლად და მაშინ-ღა მიუწოდოს ჩინებულთა მათ; და კვალად რათა შეამკოს სახლი თვისი და ტაბლაჲ ჯეროვნად და მაშინ-ღა შეიყვანეს სტუმარნი ჭამად პურისა თვისისა.

„და ამით, ესე ვითარითა სახითა, ყო მზრდელმან მან ბუნებისა ჩვენისამან, მდიდარმან და მეუფემან: რაჟამს შეამკო დაბადებული ყოვლითა შვენიერებითა და განჰმზადა საყოფელი ესე დიდებული და პატიოსანი, მაშინ-ღა შეიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვ-

[1]) იხ. შატბერდის ქრისტომატიაში „თუალთაჲ", ქვა იასპინი.

[2]) იხ. იგივე ქრისტომატია, წერილი „კაცისა შესაქმე", გვ. 11—12.

[3]) ხერთვისი—ჭალაკი, კუნძული.

[4]) თანაალც=თანა-აძს=თანა-ადევს (აძევს), надлежитъ, слѣдуетъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მგზავრი ეტლით და ცხენებით ქვეშ მოჰყვათ. მგზავრების საძებნელად კაცები გაგზავნეს.

*** ქალაქის გამგეობამ ტფილისის მუშა ხალხისთვის სამკურნალოს დასაარსებლად ხაზინაში შეიტანა ხუთასი თუმანი.

*** ამ დღეებში პოლიციის ბოქაულმა დერიპაცკიმ შეიპყრო ერთი გავარდნილი ავაზაკი, გვარად ანდრიანოვი, რომელსაც მეტს სახელს შამილს უწოდდნენ. ანდრიანოვი სხვა-და-სხვა ავაზაკობისთვის ამ სამის წლის წინად ციმბირში გაჰგზავნეს, მაგრამ გზიდგან გამოიქცათ და აქამდე იმალებოდა და ხალხს ჰძარცვამდა.

*** ამ დღეებში მიხეილის ქუჩაზე შეუდგნენ ლოტრანგთა ეკკლესიის აგებას.

*** ამ დღეებში შეუდგნენ საძირკვლის გაჭრას კავკასიის რკინის გზის მმართველობის შენობისას ბ-ნ მელლერისაგან ნაყიდ მიწაზე. შენობის აგება იჯარით ინჟენერ კოგნოვიცკის მისცეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ შენობის აგებაზე ზედამხედველობა იქონიოს ინჟენერმა პუშეჩნიკოვმა. შენობის ასაგებად ხაზინიდგან კოგნოვიცკის ეძლევა 170 ათასი მანათი.

*** გუშინ, ამ თვის 11-ს ღამის მატარებლით ტფილისში დაბრუნდა უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ტაინი-სოვეტნიკი ვ. კ. საბლერი. მასთანავე ტფილისში ჩამოვიდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი.

*** გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა გადასცა სასამართლოს გამომძიებელს გამსესხებელ კასსების საქმე. რადგანაც ამ კასსების პატრონებმა თითონ დაკეტეს თავიანთი კასსები და ეხლა არამც თუ არ ასესხებენ ფულს, არამედ სარგებელსაც აღარ იღებენ, რათა ამ გზით ვისაც დაგირავებული აქვთ ნივთეულობა, გაუყიდონ უკანასკნელი, გუშინ პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულს ოქმი შეადგინოს ამის შესახებ სასამართლოში გადასაცემად. ამასთანავე პოლიცმეისტერი სთხოვს გუბერნატორს ამ კასსების საუკუნოდ დაკეტვას და მით პატრონების უფლების ჩამორთმევას ამ გვარ კასსების ხელ-ახლად გაღებისას.

*** ამ მცირე ხანში რამდენიმე უბედურება მოხდა ჰიათურის რკინის გზაზედ. ამ სამის დღის წინად, მაგალითად, ჩამოიყვანეს ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში დაშავებული რუსი, რომელსაც მუშაობის დროს კლდის დიდი ლოდი დასცემოდა და ერთი ფეხი მოეტეხნა. გუშინწინ კიდევ, პარასკევს, შუადღისას ბათუმის სახალხო მატარებლით მოიყვანეს ჰიათურიდგანვე მარჯვენა ხელ და მარცხენა ფეხ მოტეხილი კონდუქტორი, რომელიც როგორც გვითხრეს, ვაგონიდგან გადმოვარდნილიყო.

*** ჩვენ მოგვივიდა მე-3 და 4-ხე ნომერი სამეურნეო ჟურნალის „მეურნესი“ ეს ნომერიც ისეთივე სასიამოვნო გადასათვალიერებელია, როგორც პირველი და მეორე იყო. სჩანს, საკეთილოდ დაეტყო ის ცვლილება, რომელიც რედაქციას შემოუღია. ეს ცვლილება ის არის, რომ რედაქციის კანტორა და განყოფილება ქუთაისშიც გაუმართავს და იქ ცალკე ადმინისტრატორი განუწესებია. ახალს ნომერში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: რა აფერხებს ჩვენში სასოფლო მეურნეობას, ექიმის საუბარი, ფუტკარი და მისი გონივრული მოვლა, საჰიგიენო წერილები, წესნი ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის მსესხებელთა შეღავათისათვის, თუ ვინიცობაა მსესხებლის მამული დაზარალდა რითმე და სხვა წვრიმალნი ამბავნი და ცნობანი.

*** დაბა ჩხარი: «შავ-ორშაბათს» აქაურმა ყმაწვილებმა „ყეენობა“ გაჰმართეს; არღნით ჩამოატარეს ყეენი და საკმაოდ ბლომად მოჰკრიბეს ფული. ნახევარით ნადიმი გაჰმართეს და ნახევარი გაიყვეს. მშვიდობიანად-კი ვერ გათავდა ეს გართობა და დროს გატარება: ყმაწვილებს ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანერთს თავ-პირი დაამტვრიეს. ვეჰობთ, რომ ამისთანა დროსგატარებაზედ ფულის ხარჯვას, ერთის სამკითხველოს დაარსება აჯობებდა ამოდენა დაბაში. ჩვენკენ ამ ბოლოს დროს კარგი ამინდებია და იფლუენციამაც შესამჩნევად იკლო.

*** 11 თებერვალს მეორე კირპიჩის ქუჩაზე პოლოსოვის სახლთან სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ბაღის ქუჩაზე კნ. თებრონია ბარათოვის სახლში სახლის ფიცრის ფარდულში მაყალისაგან ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენის გაზეთის გუშინდელ, მე-54 №-ში ერთი დიდი შეცდომა შეგვეპარვია. ფელეტონის სვეტები არეულია. გაზეთის მეორე გვერდის ფელეტონის მეორე, მესამე და მეოთხე სვეტები, დაწყებული მეორე სვეტის მეორე სტრიქონის სიტ-ვიდგან „რომ ყაზარმები“ მეოთხე სვეტის უკანასკნელ სტრიქონამდე უნდა ჩაემატოს მესამე გვერდის ფელეტონის მეორე სვეტის ქვემოდგან მეოთხე სტრიქონს შემდეგ, უნდა მიჰყვეს სიტყვებს: „არ გაუვლია სულ ნახევარს საათს“.

## დამაკვირდი

სიყვარული მათრობელი ღვინოა, მეგობრობა გამაგრილებელი წყალი.

**

სიყვარული დედა-კაცისათვის ცხოვრებაა, მამაკაცისათვის—მარტო ამბავია ცხოვრებისა.

ჟან-პოლი

## ნაკვესი

საქვეყნოდ გამოჩენილი მწერალი საფრანგეთისა მოლიერი ცხარედ შეებასსა ვექილს ფურცრუას, რომელიც ისე საბუთებით არ იყო ძლიერი, როგორც უზარმაზარის ხმითა. მაშინ, როდესაც ხმა მაღლა მოღრიალემ ფურცრუამ ჭექაქუხილიან ხმით თითქმის ყური გამოუგრუა თავის მოპირის-პირეს, მოლიერი მიუბრუნდა იქ მყოფს საფრანგეთისვე გამოჩენილს კრიტიკოსს ბუალოს და უთხრა:

— აბა რას გახდება მართალი თავის სუსტის ხმით ტყუილთანა, რომელსაც ამისთანა ზარბაზანი-ხმა აქვსო.

## მოღალატეს

უმტყუნე განა, მუხთალო,
არ შეასრულე ქადილი?
უარ-ჰყავ მისი შენდამი
წმიდა გრძნობა და წადილი?!.

—

უარ-ჰყავ შენთვის მოღვაწე,
ღონე უღევი და მალა!
შეუთვისტომდი ჯოჯოხეთს,
სატანის გუნდმა დაგმალა?

—

შავს სამარეში ჩაჰმარხე
ვით ურგებ-შესაჩვენები,
სული და გული ანგელოზთ
საყდური, განსასვენები.

—

მაღამოს ნაცვლად მეგობარს
წასცხე შხამი და ნაღველი,
აღხოცე ქვეყნის პირიდგან
მის არსებობის სახელი!..

—

და შთაინთქას სიცოცხლე,
სჭამოს მიწამ და ჭიამა,
ნუღარ დაუტკბოს მას ყნოსვა
გაზაფხულისა იამა.

—

მის ხორც ნაჭამნი ქვემძრომნი
ქვესკნელს მოიმღის ბუდესა,
ცოურის მადლით აღვსილი
ზეკით აიგებს ზღუდესა;

—

ზღუდეს მაგარს და შეუვალს,
არ შენგან ხელ-საყოფელსა,
ათი-ათასის წლობითაც
უცვლელსა, დაუმხობელსა.

—

მოხვნენ, მოჰზარვენ ქვემძრომნი
სამარეს მთელად აღგავენ,
და ანგელოზნი ცისანი
ედემის ნერგსა დარგავენ.

—

გადაიქცევა წალკოტად
კუნძული სალი კლდიანი,
დაუმშვენებენ ხეივნებს
ვარდ-ყაყაჩონი, იანი.

—

კლდის ნაპრალიდგან ანკარა
წყარო დაიწყებს დენასა,
ბულბული—ვარდის ტრფიალი
ბაღს მორთავს ჭიკჭიკ-სტვენასა...

—

დაჰბერავს გრილი ნიავი
აბიბინებს მდელოსა,
ვარდის სუნს ბულბულს აყნოსებს,
რომ გული გაუმრთელოსა.

—

შენ-კი, მუხთალო, ცბიერო,
გამტეხო მოყვრის ფიცისა,
ღალატით მკვლელო მოძმისა,
სულით და გულით მტკიცისა,

—

მოგეკითხება მართლისა
უმანკო სისხლის დანთხევა,
ჯოჯოხეთისთვის განმზადილს
გელის ღვთის კრულვა და წყევა!..

განდეგილი

## სამუსიკო კრუჟოკი

ი. პ. ფალიაშვილის ბენეფისი.

პარასკევს, 11 მარტს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში გამართული იყო ბენეფისი ი. პ. ფალიაშვილისა, ამ კრუჟოკის დირიჟორისა. პირველს განყოფილებაში საუცხოოდ იგალობეს როსსინის „Stabat mater“-იდგან კრუჟოკის სცენის მოყვარულებმა. მოყვარულთა სამუსიკო დიდს ხოროს ჰლოტბარობდა ბ-ნი ფალიაშვილი, რომელსაც გამოსვლისათანავე საზოგადოება დიდის ტაშის ცემით მიეგება და არტისტებმა მიართვეს დაფნის გვირგვინი, სამუსიკო კრუჟოკის წევრებმა ოქროს საათი, საზოგადოებამ—ვერცხლის სათუთუნე. სხვათა შორის ამ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო ოპერის არტისტმა ბ-ნმა შალიაპინმა, რომელმაც თავისის გალობით ასიამოვნა საზოგადოება.

მეორე განყოფილებაში ქართულის დასის არტისტების ამხანაგობის რეჟისორმა ბ-ნმა ვ. ალექსი-მესხიშვილმა რუსულს ენაზედ წაიკითხა გოგოლის „შეშლილის წერილები“. თუმცა არტისტი, როგორც ეტყობოდა, ავად იმყოფებოდა, მაგრამ ეს სცენა ისე ნიჭიერად, ისე ლამაზად ჩაატარა, რომ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა ქართველი და რუსი საზოგადოება, ამ წარმოდგენაზედ დამსწრე. სამწუხაროდ, იგი ცოტას ჩქარობდა და საზოგადოება ისე დინჯად ველარ ადევნებდა თვალ-ყურს იმის მონოლოგს.

მესამე განყოფილება სწორედ სიამოვნებით აღსანიშნავია ისე, ლამაზად წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ცელქები“ ქართულის თეატრის არტისტებმა ქ-ნ საფაროვის ასულმა, მელიქიშვილისამ, ტარიელიშვილისამ; ბ-ნმა აბაშიძემ, გედევანოვმა, შათირიშვილმა. საფაროვის ასულმა და ბ-ნმა აბაშიძემ თავისის ნიჭიერის თამაშობით აღტაცებაში მოიყვანეს ის რუსის საზოგადოებაც-კი, რომელსაც ქართული ენა არ ესმოდა და ჰსიამოვნებდა მხოლოდ იმათის ხელოვნურის მიხვრა-მოხვრით, გაბედულ, სადა ლაპარაკით და სცენაზედ თავის დაჭერის უნარით.

მეოთხე განყოფილებაში ბ-ნ რატილმა და ცხომელიძემ იგალობეს ფლოტოვის ოპერის „სტრადელლას“ მეორე მოქმედების უკანასკნელი სცენა.

---

ნილი და მომზადებული; და ამისთვის ყო მას შინა მიზეზი ცხოვრებისაჲ მრჩობლად და შეჰრია საღმრთოჲ იგი ქვეყანისასა მას“...

დიაღ, «მონაგები რჩეული» უფალმა მისცა კაცს «საქმედ». მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ არა ყოველ კაცს, ყოველ ტომს, ყოველ თესლს ეკუთვნის ეს „მონაგები რჩეული“, არამედ ზოგს წილად ხვდა ჩრდილოეთის ყინულიანი ხრიოკები, ზოგს სამხრეთის პაპანაქებისაგან გარუჯული ქვიშიანი მინდვრები, ზოგს თვალ-გადაუწვდენელი ერთფეროვანი ველები და სხვ. თითქმის ერთად-ერთი ქართველი ტომია, რომელიც უფალმა დაადგინა მთავრად და მეუფედ ყოველ მხრივ მორჭმულ სამეუფოჲსა.

თვალს გარდავავლებთ რა ჩვენს ორიათას-სამიათას წლის ისტორიულ ცხოვრების სიგრძეს, ვამჩნევთ, რომ ჩვენს წინაპართ სახელოვნად უსარგებლნიათ ღვთის მომადლებულ „რჩეულ მონაგებით“: მედგრად დაუცავთ თვისი მამული, უმუშავნიათ გონებით და თვისი კულტურული სვე გრძელ გორვილად[5]) გადუბამთ ჯვარედინად, ერთის მხრით ორ ზღვას შორის და მეორეს მხრით მყინვარ-არარატ შორის. თქმულის მოწამეა: ძველანდენი ჩვენი მდიდარი ლიტერატურა, ისტორია, სახუროთ-მოძღვრო ნაშთნი, სარწყავ წყლის სადინებელნი არხნი, აღმატებული და სტუმართ-მოყვარული ჩვენი ზნე-ჩვეულებანი და სხ.-და-სხ.

დღეს-და? დღეს რაღა ვართ?

მაშინ როდესაც ფინლანდიისა, შვეცია-ნორვეგიისა, ინგლის-ირლანდიის ხრიოკებზე მოსახლე ერნი, შვეიცარიის მთა-ბარზე მცხოვრებნი ტომნი და მეორე სხვანი თავის სიმხნესიქველით თვის სამშობლოს ბედნიერებით აღავსებენ,—მაშინ, ვიმეორებთ, ჩვენ-კი გულ-ხელ დაგვიკრეფია და ვსხედვართ ჩვენთვის და ჯერხნობით ვსტკბებით და ვსიამოვნებთ ჩვენის ძველის წარსულით. ვინ რას შემოგვბედავს ჩვენ? ჩვენი წინაპარნი არ იყვნენ, რომ „რომი იხსნეს“! ვაი, როგორ ვსტყუვდებით? თვალი მოვიფშვნიტოთ და ისე შევჰქვრიტოთ ჩვენს გარემოს. რას ვხედავთ აქ? რას ვხედავთ მანდ? რას ვხედავთ იქ? რას ვხედავთ ყველგან, ყოველ ფეხის დადგმაზე ჩვენის ქვეყნისა?- ჰიდილს, ბრძოლას არსებობისათვის, აღბორგებულ დიდ ზღვის ფოფინს, რომელიც ესერა ქვეყნის წამლეკავ ტალღად იქცევა.

ისინი, რომელნიც გაჭირების დღეს ჩვენთი წინაპართ შემოეფარნენ, იმათ, რომელთაც ჩვენმა განსვენებულებმა ასვეს, აჭამეს, მყუდრო სავანე მიუჩინეს, ისინი, რომელნიც ერთ დროს ყმამონანი იყვნენ საქართველოს დროშაალმისა,-ყოველნი და ყველა ესენი დღეს, სასახელოდ მათდა, მიისწრაფიან წინ, მიეტევიან უკეთესს მერმისს, სანატრელ საგანს, ივსებიან, ილვჰიან ქონებით.

სახელით, შემდგარ ისტორიის აღდგენით. და ჩვენ-კი, რომელთაც, ღვთის წყალობით, ისევ გვეკუთვნის ყოველი სახსარი ჩვენი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩვენ, ვამბობ, ჩამოგვტირის პირისახე, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავცვივნულვართ, დავძაბუნებულვართ.

„იღვიძებოდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა,“ ბრძანებს უფალი. და ჭეშმარიტადაც ბრძანებს. აწ ღვიძილის მეტი ჩვენ ვერა გვიხსნის-რა. გაღვიძების ნიშნები კიდეც გვილიმის. ამ გვარ ნიშნებად მისაჩნევია: წიგნის გამომცემელნი ამხანაგობანი, ახლად დამართული წიგნთ-საბეჭდავნი საქართველოს სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქში, ჟურნალის დაარსება, რომელშიაც, სხვათა შორის, მოღვაწეობენ უმთავრესნი მწერალნი, ღვინის სავაჭრო ამხანაგობა, ქვა-გუნდის წარმოება, გაძლიერება აღებ-მიცემისა იმერეთში და იმერლებისავე შემწეობით იმერეთშიაც ნელ-ნელა გავრცელება ამავე დარგისა და სხ. და სხ. ამას დავუმატებთ რა აგრეთვე ქართველ ტომის მიერ ერთობისა, ერთ სისხლ ერთ ხორცობის შეგნებას, მაშინ შორს ღრუბლებში ვხედავთ იმ საიმედო ვარსკვლავს, რომელიც დღეს-ხვალ გადიყრის ნისლ-ბურუსის გორებს და გამოაკაშკაშებს საქართველოს წილ ცის კამარაზე...

მედგარი და მღვიძარე არს თავადი თავით თვისით.

ესომ

---

[5]) გორვილი. гирлянда,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება საერთოდ წარმოდგენით დიდი კმაყოფილი დარჩა. წარმოდგენაზედ საკმაოდ ბლომად დაესწრო მაყურებელი საზოგადოება, ასე რომ მთელი დარბაზი სამუსიკო კრუჟოკის თეატრისა სრულიად გავსებული იყო.

მ—ძე

## კორესპონდენცია

**სიღნაღი.** დადგა მარხვა სინანულისა და გახშირდა ზარის რეკვა, რომელიც მიგვიწვევს ეკკლესიებში ლოცვისა და ღვთის ვედრებისად. უნდა მოველოდდეთ ახლა აღდგომას. ბრალი ღარიბისა და ღატაკისა, თორემ სხვებისათვის არც მონანიება ცოდვებისა, არც მარხულობა და არც მოლოდინი აღდგომისა. იმათთვის დღესაც აღდგომაა. მწვადი არ აკლიათ და შემოსავალი!

მოგეხსენებათ, რომ ახხალის განკარგულებით, საერო და სახელმწიფო ხარჯი გლეხ-კაცობამ ორ ნაწილად უნდა გადაიხადოს: ერთი ნაწილი უნდა შეიტანოს იანვრიდამ მკათათვემდე და მეორე მკათათვიდამ იანვრამდე. ეს წესი წელს შემოიღეს ჩვენში და შეუტიეს უცბად გლეხობას, ხარჯი გამოიტანეთო. გლეხკაცობა მოუმზადებელი შეხვდა ამ ახალს წესს და ხარჯის გამოტანა ბევრს გაუჭირდა. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა ფულის პატრონთათვის მიემართნათ. აი აქ გაუთენდათ სიღნაღელ ფულის პატრონთაც, რომელნიც ისე-კი არა სთესენ და მკიან, როგორც ჩვენ, არამედ სულ სხვაფრივ: ისინი ჩვენსავით შვიდ-რვა თვეს როდი უცდიან მოსავალს; ერთსა და ორს თვეზე მოიმკიან ხოლმე და ისე უხვს მოსამკალსაც მოიმკიან ხოლმე, რომ თვითონვე უკვირთ, ეს რა ამბავია, ეს რა დორანი დაგვიდგაო.

მიაწყდა გლეხ-კაცობა, ჩვენი სოფლელი ხალხი ფულის პატრონთ და ისინიც სიამოვნებით აძლევენ ფულს სესხად თუმანს თვეში ექვს შაურად, ორ აბაზად, ათ შაურად და იყო მაგალითიც, რომ მანათი გამოართვეს. თან აშინებენ ხალხს, არა სთქვათრა, თორემ რომ იხრჩობოდეთ გაჭირვებისაგან, გროშს აღარ განდობთო. იციან-და როგორ იოსტატონ! გაიგეს თუ არა ფულის პატრონებმა სოფლის გაჭირვება, გაგიხარიანო, მოხსნეს იმათაც ქისებს პირი და დაუწყეს რიგება ფულს. ვინ გინდათ, რომ ამ გზით ფულით არ გაივსოს და ჯიბე-უბე არ გაიტანა? არც მოხელემ დააკლო რამე, არც ბაზაზმა, არც ბაყალმა და, ასე გაშინჯეთ, არც მკურნავმა. ერთმა ფულიანმა ასესხა ერთ სოფელს ასი თუმანი 50%-ად სულ ექვსის თთვის ვადით და ერთმა მისცა კიდევ მეორე სოფელს 300 მან. 70%-ად.

რას აკეთებენ ამ შემთხვევაში ჩვენის სოფლის მოხელენი და მეტადრე მამასახლისები? არაფერი დარდი აქვთ სოფლისა! ქვეყნის საქმეს ვინ გაუძღვებაო. ჩვენ ქორწილ-ქელეხში გამოვიჭიმოთ და გავძღეთ, ის გვირჩევნიაო.

ამას წინად სოფელს ანაგაში დაიკარგა უგეშოდ და კვალ-წმინდად ერთი საწყალი, ლამაზი ცოლის პატრონი გლეხი. არავინ არ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. სამის ოთხის თვის შემდეგ მწყემსებმა იპოვეს საწყალი ალაზნის გაღმა ერთს ფუღუროს ხეში. შეადგინეს ოქმი და წარუდგინეს, სადაც ჯერ იყო. ვნახოთ, გამოძიება რას აღმოაჩენს და რას იტყვის ამის გამო. თუ თავისით მოკვდა ის უბედური, ფუღუროში ვილამ შედო და, თუ ძალ-დატანებით არის მკვდარი, ვის რა შეშურდა მისი, ვინ იყო დამნაშავე?! დავიცადოთ და ვნახოთ, რას აღმოაჩენს მართლმსაჯულება...

—

**სოფ. შროშა** (შორაპნის მაზრა). კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით აღკრძალულია ვაზისა და ყოველ მისი ნაწილის გატანა იმ ადგილებიდან, რომლებშიაც უკვე აღმოჩენილია ფილოქსერის ნიშნები. ამისთანა ადგილებათ, სხვათა შორის, ცნობილია ქუთაისისა და შორაპნის მაზრები. ეს განკარგულება ბევრს იმათგანს, ვისაც მინდობილი აქვთ ამის თვალ-ყურის გდება, ვგონებთ, თავისებურად ესმით. მე ვფიქრობ ეს აღკრძალვა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ ადგილებში გატანას, საცა ჯერ არ არის აღმოჩენილი ფილოქსერის ნიშნები. ზემოხსენებულნი მოხელენი-კი უკრძალავენ ქუთაისის მაზრიდან შორაპნის მაზრაში მიტანას, არა თუ ვაზისას სხვა ყოველ გვარ ხეხილის ნერგისასაც. მაგალითებს მოგიყვანთ: ერთის შორაპნის მაზრის მემამულის თხოვნით მოვატანინე ქუთაისის მაზრიდან (სოფ. ჭოლევი, აქ ფილოქსერა აღმოჩენილია) იზაბელას ვაზის ჯიშის რქები. ქუთაისის სადგურზედ შეუნიშნავთ ეს ჩემის ბიჭის ხელში, წაურთმევიათ, ჟანდარმთან მიუყვანიათ და ბიჭის ვინაობა დაუწერიათ. არ ვიცი ოქმის შესადგენად თუ რისთვის. სამტრედიაში მოვაჭრე გაჩეჩილაძეს მოჰქონდა ბროწეულის და ატმის ნერგები სახლში (შორაპ. მაზ., სოფ. წევა) ვიღაც წესიერად ჩაცმულმა ყმაწვილმა შენიშნა, ჟანდარმის საშუალებით გამოართვა, დასწვა და ვინაობა პატრონისა დაიწერა.

თუ ადგილობრივ გადატან-გადმოტანასაც შეეხება განცხადება, ეს უფრო გარკვეულად უნდა იყოს მოხსენებული განცხადებაში და, თუ არ შეეხება, უნდა ჩააგონონ, ვინც მოვალეა თვალ-ყურის ჭერას, რომ ტყუილად ნუ ავიწროებენ მემამულეთ.

ილ. ჭიჭინაძე

—

**ქ. ყუბა.** საზოგადოდ ყუბის მაზრაში ზამთარმა ისე გაიარა, რომ წესიერი თოვლი არ დასდო; იანვარში ისეთი დარები დაგვიდა, გეგონებოდათ, მაისის დღეებიაო; მაგრამ თებერვალში-კი დიდი ცვლილება მოხდა, ასე რომ ხან დაგვიდგებოდა ხმელი სიცივეები, ხან დაგვიცხებოდა; კაცს უჭირდებოდა სიარული სიცხის გამო; ხან კიდევ თითო და ოროლ კვირობით გვესტუმრა ჭირხლი. მცენარეებზედ ყურძნის მტევანივით ეკიდა ხოლმე ჭირხლი. ჰაერის ამისთანა ცვლილების გამო ყუბის მაზრაში გაჩნდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მაგალითად: ინფლუენცია, ციებ-ცხელება, ყელის ტკივილი, სურდო-ხველა. ყვავილმა და წითელამ ხომ მუსრი გაავლო ახალ მოზარდებს.

ჯერ არავის არ ჰქონდა დავიწყებული ზემოხსენებული ჭირი, რომ ზედ მოჰყვა კაცის კვლა, ძარცვა და სახლების აფეთქება. მაგალითად, თებერვალში მოხდა ორი საძაგელი ამბავი. ჯერ პირველად ქურდ-ბაცაცებმა გაძარცვეს ნიზოვოის იჯარადარის ნოქარი; ეს უკანასკნელი თურმე ყუბიდგან ნიზოვოში მიდენილა, როცა შესულა ტყეში, ქურდებს შეუკრავთ გზა, და გაუქურდნიათ. ჯიბიდგან ამოუცლიათ ოთხმოცი თუმანი ნაღდი ფული, ოცის თუმნის თამასუქი, ვერცხლის საათი და ოქროს საათის ძეწკვი. აი მეორე ამბავიცა: სოფ. ბაბალოში ყაჩაღებს თურმე ეგულებოდათ კარგი შეძლებული ოჯახის-შვილი და უნდოდათ როგორმე მისი ხელში ჩაგდება და მოკვლა, მაგრამ ვერას გზით ვერ ჩაიგდეს ხელში. ბოლოს ყაჩაღები შესულან ღამე ეზოში და მისულან ბოსელთან, სადაც მდგარა საქონელი, ცხენი, ცხვარი; ხოლო მაღლა სართულში სახლის პატრონი ყოფილა ხუთის ცოლ-შვილიანის ძმით. ბოსელში შეუტანიათ ორ ფუთამდე თოფის წამალი, შორიდგან მიუციათ წუმწუმა, წამალი აფეთქებულა და ორ სართულიანი სახლი სულ ერთიანად ჩამოწოლილა. ხუთი ძმა თავის ცოლ-შვილით, ათი ულელი კამბეჩი რვა ცხენი, საქონელი, გამხდარა ამ აფეთქების მსხვერპლად. ყაჩაღებმა უშველეს თავიანთ თავს და გაჰქრნენ, როგორც შარშანდელი თოვლი. რაკი გაზაფხული დადგება, ყაჩაღებსაც აღდგომა დაუდგებათ.

ყორაღნელი თათრებში

## რედაქციისაგან

ამა წლის „ივერიის“ მე-37 №-ში დაბეჭდილი გვქონდა ქედიდგან ამბავი იმის შესახებ, რომ „ამას წინად ჩვენში ვიღაც ქართველი მასწავლებელი ჩამოვიდა... აჭაურებმა დიდი პატივი სცეს... მაგრამ ამ ვაჟბატონმა ეს პატივის-ცემა ვერ იშვნია და დაუწყო მაჰმადის რჯულს უკადრისად ხსენებაო“... და სხ. ამ ახალ ამბის შესახებ რედაქციას ორი წერილი მოუვიდა, ერთი წერილი ეკუთვნის ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს, რომელიც იწერება, რომ ვშიშობ ის „ვიღაცა მასწავლებელი მე არ ვეგონო არავისაო“. რაღა თქმა უნდა, ასეთი შიში ტყუილია, ვინაიდგან ყველამ იცის, რა შრომა მიუძღვის ამ მხრივ ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს და რომ ქვედა-აჭარაში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები დიდი მადლიერები არიან იმისი იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ ჩვენთა მოძმეთა და ჩვენთა სისხლ-ხორცთა მიმართ.

მეორე წერილი ბათუმიდგან არის მოსული და ეკუთვნის თითონ იმ «ვიღაც მასწავლებელს», რომლის შესახებაც ზემოხსენებული ამბავია დაბეჭდილი. ეს ბატონი გვწერს, რომ მართალია, მე ვიყავი სოფ. ქედაში, მაგრამ არავითარი დანაშაული-კი არ მიმიძღვის მაჰმადიან ქართველთა წინაშე, პირიქით, მე იმათ დიდის პატივისცემით ვეკიდებოდი, წიგნებს ვურიგებდი, ვასწავლიდი, მაგრამ იქაურმა მოხელეებმა თვალიდგან ამომიღეს და ცილს მწამებენო. უკადრისად როგორ მოვიხსენებდი იმათ სარწმუნოებას, როდესაც იგია „ერთად-ერთი იმედი გაუნათლებელის ხალხისა, მყუდრო ნავთ-სადგურიო“. ასეთის ლამაზის სიტყვებით იმართლებს თავს ეს ბატონი, მაგრამ არ გვესმის თავისს ვინაობას რადა ჰმალავს და წერილის ქვეშ „ვიღაც ქართველს“ რად აწერს, როდესაც შეეძლო, თუ მართალი ბრძანდებოდა, უჩინ-მაჩინის ქუდისაგან ხელი აელო და გამოეაშკარავებინა ცუდი საქციელი ქვედა-აჭარის მოხელეთა და უარ-ეყო მათ მიერ დადებული ცილის-წამება. ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ ვიცანით ამ წერილის დაბეჭდვა, მით უფრო, რომ იგი წერილი ხელმოუწერელია და უცნობ, ანონიმ ავტორთა წერილებს-კი, ვერც საკამათოსა და ვერც საპასუხოს, ჩვენ ვერ დავბეჭდავთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Вѣст. Иностр. Литературы“-ს უკანასკნელს წიგნში ერთი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი იმის შესახებ, ნაპოლეონი როგორ ჩაუვარდა ხელში თავისსავე პოლიციას. საქმე იმაშია, რომ როდესაც 1812 წელს ნაპოლეონმა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, ნაპოლეონს უნდოდა რუსეთში დიდ-ძალი ყალბი ფული შეეტანა და ამითი რუსეთის ფინანსები დიდად აერ-დაერია. ამ აზრით პარიზში ყალბის ქაღალდის ფულის ქარხანა გაჰმართა, მაგრამ დაავიწყდა ეს ამბავი პოლიციისათვის შეეტყობინებინა. ამასობაში პოლიციამ ეჭვი აიღო ყალბის ფულის კეთებისა. სტამბა გასჩხრიკეს.

დააპატიმრეს გაკეთებული ყალბი ფული, გასაკეთებელი მაშინები და სტამბის მოწყობილობა და პრეფექტთან გაჰგზავნეს.

საპრეფექტოში ერთმანეთს ულოცავდნენ, კარგი საქმე მოგვივიდა, რომ ეს ყალბის ფულის მკეთებელთა ბუდე-ბუნაგი ავშალ-დავშალეთო.

მაგრამ პოლიციის მხიარულებას დიდი მანძილი არა ჰქონდა. როდესაც ნაპოლეონს მიუტანეს ეს ამბავი, ძალიან შეშფოთდა!... უნდოდა ეს ამბავი დაეფარა თვით ყალბის ფულის მკეთებლებისათვისაც, ამათ ჰგონებოდათ, რომ იმპერატორის სურვილისამებრ-კი არა ებრაელებისათვის ვაკეთებთ ამ ყალბ ფულს რუსეთში შესატანადაო, და უცბად იმისმავე საკუთარმა პოლიციამ დიდის ამბით გადმოშალა და გამოაქვეყნა ეს ამბავი!...

პოლიციის პრეფექტთან შეშინებული მივიდა ჰერცოგი როვიგო და აუხსნა, რომ მაგ ყალბ ფულს ჩემის ბრძანებით აკეთებდა მესტამბე ფენი. ამ მესტამბეს ძმა თვით იმპერატორის ნაპოლეონის მდივანიაო!...

მაშასადამე!... მაგრამ ამ „მაშასადამე“-ს გაგონებაზედ თვით პრეფექტის სახე კითხვის ნიშნად გარდაიქცა და დიდი გაოცება და შეშფოთება აღებეჭდა ზედ.,.

— დიდად გმადლობ, ჰერცოგო, ი, ნდობისათვის, რომლითაც აქამდე მეპყრობოდითო, ამბობდა პრეფექტი: მაგრამ, სიფრთხილის გულისათვის მაინც, რატომ არ შემატყობინეთ. თუ საიდუმლოდ გინდოდათ შეგენახათ, იმას მაინც იტყოდით, რომ ესა-და-ეს სახლი ჩემი საკუთრებაა და ნუ მიაქცევთ იმას ყურადღებას, რაც ამ სახლში ამბავი ხდებაო! მაშინ ყველაფერი დაფარული იქნებოდა და იმპერატორის საწყენიც არა მოხდებოდა-რა.

ჰერცოგი დაეთანხმა თურმე, მართალს ამბობს, ჩემი ბრალია აგრე გაუფრთხილებლად მოქცევაო, ხოლო ნაპოლეონის საქციელის ასახსნელად-კი სთქვა თურმე, რომ ასეთის საშუალებით ბრძოლა და დამარცხება მტრისა ინგლისმა გვაჩვენაო.

## რუსეთი

სავალდებულოა თუ არა ებრაელებისათვის წინა-დაცვეთა? აი ეს საგანი უნდა განმარტოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სადაც საჩივარი შეიტანა ერთმა ვორონეჟელმა ებრაელმა. ამ ებრაელს არ მოუნდომებია წინა-დაცვეთა თავისის ახლად დაბადებულის შვილისა და ურიათა მოძღვარს, რაბბინს უარი უთქვამს ამ კაცისათვის, შენს შვილს წლოვანების დავთარში არ ჩავწეროო. ამისთანა უსიამოვნება არა ერთხელ ატეხილა ებრაელთა შორის და ამიტომ საფიქრებელია, რომ სამინისტრომ ერთი და ერთი სამუდამოდ განმარტოს ეს საგანი.

—

მთავრობას განუზრახავს გაადვილონ წესი გლეხთათვის მეორე სოფლის საზოგადოებაში ჩარიცხვისა, თუ ვინიცობაა ეს გლეხნი სხვა სოფელში გადასახლდნენ და ან მიწა იყიდეს სადმე. ეხლა ეს საქმე დიდად გაძნელებულია იმის გამო, რომ სოფელმა უნდა განაჩენი დაადგინოს ახალის კაცის მიღებისა, ამიერიდგან-კი ეს თანხმობა სოფლის საზობადოებისა საჭირო აღარ იქმნება. ვინიცობაა თუ გადასახლების მსურველს ძველი ხარჯი აქვს რამ გადაუხდელი, ეს ხარჯი შეიძლება თან გადაიტანოს და ახალს საზოგადოებაში გადაიხადოს.

—

4 მარტს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში პირველი სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს კალიისა და სხვა მავნებელ მწერთა წინააღმდეგ ღონისძიების ხმარება. თავმჯდომარეობდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი. სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სიპიაგინი, მეურნეობისა და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი კალაჩოვი, გენერალი ცეიმერანი, რომელსაც შარშან მინდობილი ჰქონდა კალიასთან ბრძოლის საქმე, და სხ. კომისია ჰსინჯავს პროექტს მავნებელ მწერთან ბრძოლის წესებისას და დარიგებას იმათის გაწყვეტისას. პროექტით, მავნებელ მწერტთან ბრძოლა მკვიდრისათვის სავალდებულო გარდასახადად იქმნება დადგენილი და განსაკუთრებული რიგი და წესიც იქმნება შემუშავებული ამ გარდასახადის გარდახდისა. გამორკვეული იქნება: თვისება იმ მუშაობათა, რომელიც მკვიდრთ უნდა გააკეთონ. რაოდენობა სამუშაო დღისა მუშათა წლოვანების კვალობაზედ, რაოდენობა ფულისა, რომელიც გადახდებათ იმათ, ვინც მუშაობით არ გადაიხდის ამ საერთო ბეგარას და სხ. მუშაობის თვალ-ყურის სადევნებლად გუბერნატორმა ერთი განსაკუთრებული მეურნე უნდა დაჰნიშნოს. იმ მუშათ, რომელნიც ფულით იქნებიან დაქირავებულნი მავნებელ მწერთა გასაწყვეტად, ფული უნდა მისცეს ერობის მმართველობამ ამ აზრით შეკრებილ გარდასახადიდგან. მწერთა გასაწყვეტად საჭირო დარიგება გამოკიდებული იქნება სოფლის კანცელარიებსა და სასწავლებლებში.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

1893 წლის განმავლობაში, უცხოეთის გაზეთების სიტყვით, სუეცის არხში 3,341 გემს გაუვლია. ამათში ინგლისისა ყოფილა 2,268, რუსეთისა—19, დანარჩენი-კი სხვა სახელმწიფოებისა

—

ოგაიას შტატის ქალაქ კლეველენდში ამ ჟამად შეძლებულნი კაცნი აშენებენ მთელს უბანს სახლებისას, რომელიც ქირით უნდათ გასცენ. ერთის შეხედვით ეს სახლები დაყოფილია, დაცალკ-ცალკევებული, ნამდვილად-კი იგი შეერთებულია დახურულის ტალანით და შუაში დიდი შენობა აქვს, სადაც მოწყობილ-მომართულია მაშინები, რომელიც ამ სახლებში ჰაერსა სწმენდავს, სითბო შექვს, სიცივე და სხ. სხვათა შორის სახლის ამავე ნაწილში ერთი უშველებელი სამზარეულოა მთელის ამ უბნისათვის. ნუსხა საჭმელებისა დილითვე უნდა გაეგზავნოთ ყველა მდგმურებს. ესენი ამოირჩევენ სასურველს საჭმელს და ტელეფონით შეატყობინებენ მთავარ სამზარეულოს. დანიშნულს საათს ყველას თავ-თავისი სადილი მიუვა მილებით, რომელიც ამ სახლებშია გაყვანილი. საჭმელი ძალიან მაგრად თავ დახურულს ყუთშია, რომელსაც გარედგან ორპირად მატყილი აქვს გადაკრული, რის წყალობითაც საჭმელი დიდხანს ცხელია და არა ცივდება. ამ სახლების აშენებელთ იმედი აქვთ, რომ ამითი, ჯერ ერთი, იაფ-სადგომებს გავუჩენთ ამერიკის მცხოვრებლებს და, მეორე, ჩვენც კარგი მოგება დაგვრჩებაო.

—

ამერიკელი ქალი—ექიმი მისს კეტი ფილდი დიდად ურჩევს ქალებს მუცლის გიმნასტიკას. იგი სწერს ნიუ-იორკის ჟურნალ „Medikal Record-ში, რომ აღმოსავლეთში ცეკვის დროს ქალები მუცელს ჰკლაკნიან გველსავით, რასაც ის ქალები ვერასოდეს ვერ შეიძლებენ, რომელთაც ოდესმე კორსეტი უტარებიათო. კიდეც ამის წყალობით ეგვიპტეს მოცეკვავე ქალებმა ჩიკაგოს გამოფენაზედ აშკარად დაგვანახვეს, რომ მუცელი ძალიან განვითარებული ჰქონიათ და ისე ამოძრავებენ მუცელს, როგორც ჰსურთო. ჩვენშიაც რომ ასე იყოს, ეს დიდად განაკარგებდა ჩვენს მოდგმას, ჯან-საღი ყმაწვილები ეყოლებოდათ ხოლმე ამერიკელ ქალებს თვითონაც დამახინჯებულნი არ იქმნებიანოო. აქავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ აზრითვე ურჩევენ ზოგიერთი ექიმები ქალებს, რომ მუცელზედ ზარბაზნის ტყვია იგორავეთ. აქეთ-იქით რომ გააგორებს ტყვიას, მუცელს დაჰზილავს კარგად და ეს მუცლის გიმნასტიკა ძალიან ჰშველის ჯან-საღობასაო.

## სასამართლოს მატიანე

—

ამას წინად ქალაქ მსტისლავში მიგილიოვის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ერთი ფრიად შესანიშნავი სისხლის სამართლის საქმე. ამ ქალაქ ახლო მყოფ სოფლის დუხოვკის მცხოვრებელს ა. გ. პირველი ცოლი რომ მოჰკვდომია, შეურთავს მეორე, ოცის წლის ყმაწვილი ქალი, სახით ფრიად ლამაზი. იმ შიშით, რომ ამ ქალმა უარი არ მითხრას და არ უარ-ჰყოს ჩემი სურვილი იმის შერთვისაო, ამ კაცმა დაუმალა თურმე, რომ პირველ ცოლისაგან შვილებ ჰყავდა დარჩენილი. ქორწილს შემდეგ ახალგაზდა ქალმა, რასაკვირველია, შეიტყო, რომ ჩემს ქმარს პირველის ცოლისაგან ორი ყმაწვილი დარჩენიაო: ქალიშვილი და ვაჟიშვილი. უსეყვედურებდა თურმე ამ გარემოებას და თან აუტყდა, რომ მომაშორე სადმე შენი შვილები, თვალის დასანახავად მეჯავრებიანო. კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდა ქმარი ულმობელ და გულ-ქვავ ცოლის თხოვნას, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა. მოიყვანეს ტყის მცველი, ერთი თუმანი მისცეს, იმან ტყეში გაიტყუა ამ კაცის ათის წლის ქალიშვილი და იქ ბოლო მოუღო. რაკი ქალიშვილი მოიშორეს, ცოლ ქმარმა ახლა ვაჟიშვილის თავიდგან მოშორების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. ფული ჰშურდათ ტყის მცველისთვის მიეცათ და უნდოდათ შინაურულად მოეღოთ როგორმე ბოლო საბრალოსათვის. ერთხელ ღამე, როდესაც ცოლ-ქმარნი იმის ლაპარაკში იყვნენ, აბა რა მოუხერხოთ ამ მეტ მჭამელსაო, გადასწყვიტეს, საწამლავი მივცეთო, ყმაწვილი იქავე იწვა თურმე თავ-მომძინარებული და იმათი ნათქვამი და ნალაპარაკევი სულ გაიგონა. ყმაწვილი ნელა ადგა თურმე ლოგინიდგან, გავიდა გარეთ, მიირბინა იმათს სოფელში მცხოვრებელ ერთ შეძლებულ ებრაელთან და უამბო, რომ ჩემს ბოროტ დედინაცვალსა და მამაჩემს ჩემი სიკვდილი აქვთ განზრახული, ჩემი და მოუკლავთ ტყეში და ახლა უნდათ მეც საწამლავი დამალევინონო. ებრაელს ყმაწვილის ლაპარაკზედ ცრემლები მოერია თურმე და ეს ამბავი მაშინვე ასისთავს შეატყობინა. ასისთავმა ყმაწვილი დაარიგა, ისევ შინ წადი, ნუ შეამცნევინებ, თუ იცი რამე, და ხვალ, სადილს რომ მოგიტანენ, ნუ სჭამ. მე დროზედ მოვალ და დაგიხსნი მაგ ბოროტებისაგანაო. მართლაც ყმაწვილი არ მიეკარა თურმე საჭმელს, როდესაც დედინაცვალმა მიუტანა. ამ დროს კარები გაიღო და შევიდა ასისთავი და თან ძაღლი ჰყავდა.

— რატომ არა სჭამ მაგ გემრიელს საჭმელსაო? ჰკითხა ყმაწვილს ასისთავმა.

— მუცელი მტკივა და არაფრის ჭამა არ შემიძლიან, უპასუხა დაღონებულმა ყმაწვილმა.

— მაშ კარგი, რაკი შენ არ გინდა, მაგ საჭმლით ამ ჩემს ძაღლს გავუმასპინძლდები, მით უფრო, რომ საცოდავი ძალიან მშიერია.

შეშინებული დედინაცვალი ამ სიტყვის გაგონებაზედ ძალიან შეფრთხა და უნდა გაქცეულიყო, მაგრამ გონიერს ასისთავს კარები ადრევე დაეკეტნა. მისცა თურმე საჭმელი ასისთავმა ძაღლს, რომელმაც ერთს წუთას შესთქვლიფა მაგრამ არ გაიარა თორმეტმა წუთმა, რომ ძაღლმა ფეხები გაფშიკა. რაკი დარწმუნდა, რომ მართლაც საჭმელში საწამლავი რეულაო, ასისთავმა კარები გააღო და დაუძახა რამდენსამე გლეხ-კაცს, რომელიც გარეთა ჰყოლოდა დაყენებული. იმის ბრძანებით ამ გლეხებმა შეჰკრეს თოკით ცოლ-ქმარი და მსტისლავის ციხეში წაიყვანეს. ამავე დროს დაპატიმრებულ იქმნა ტყის მცველიც.

ამ საქმის გარჩევას სასამართლომ მთელი დღე მოანდომა; მოწმებმა და სასამართლოს გამოძიებამ ზემოხსენებული ამბავი სრულიად გამოარკვია. სასამართლომ სამივე დამნაშავედ იცნო და მამას გ—ს მიუსაჯა უვადოდ კატორგაში გაგზავნა, იმის ცოლსა და ტყის მცველს-კი თორმეტ-თორმეტის წლით კატორგაშივე ყოფნა.

ამას წინად გაზ. „Тиф. Лист."-ში იყო ნათქვამი, რომ ვითომ ერთი ამისთანა ამბავი ჩვენშიაც ატენის ხეობაში, მომხდარიყოს და დედინაცვალსა და იმის ქმარს შვილები დაეხოცოთ მათდა თავიდგან მოსაშორებლად. როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ ეს ამბავი ტყუილია და ამისთანა ამბავი სულ არა მომხდარარა ატენის ხეობაში.

## გასართობი

—

როდესაც ტალეირანს რესტავრაციის დროს ისევ ყურადღება მიაქციეს, ქ-ნმა სტალმა სთქვა იმაზედ: ეს კეთილი მორისი იმ პატარა კაცუნებსა ჰგავს, ბავშვებს რომ მისცემენ ხოლმე,—და რომელთაც თავი პრობკის ხისა აქვთ, ფეხები-კი ტყვიისა და რამდენიც უნდა ისროლოთ და ატრიალოთ, მაინც ფეხზედ დადგებიან.

**

ერთს ინგლისურს ჟურნალშია ნათქვამი: „მოხუცი ქალები მხიარულისა და ცოცხალის ხასიათისანი ისევე ჰგვანან ახალგაზდა ქალებს, როგორც ქიშმიში ყურძენს; თუმც დამჭკნარნი არიან, მაინც დიდხანს სძლებენ და მოსწონთ ყველას".

**

სწავლა-განათლების ერთი მზრუნველი დაესწრო ფიზიკის ლექციას მზით ცეცხლის მოსაკიდებელ შუშის შესახებ. ლექციის შემდეგ ჯარის-კაცი რომ ამ შუშებს ალაგებდა, უცაბედად მზის პირ-და-პირ დააწყო; მზის სხივი რომ მოხვდათ, მაშინვე პოლს ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ საჩქაროდ ჩააქრეს. მზრუნველმა ამ შემთხვევის გამო შეაგროვა მსმენელნი და უთხრა: „ბატონებო!... ტაძარი მეცნიერებისა კინაღამ მსხვერპლად შექმნა მზით ცეცხლის მოსაკიდებელ შუშისა. მადლობა შევსწიროთ ღმერთს, რომ ეს შეგვემთხვა დღისით და არა ღამით!"

## გამოსადეგი ცნობა

—

მომზადება სხვა-და-სხვა ფერის მელნისა. კარგის წითელის მელნის მოსამზადებლად უნდა გახსნათ $^1/_{12}$ ნაწილი მისხლისა ჭიაფერი[1]) 14 მისხალ ნიშადურის სპირტში და მიუმატოთ ამას რამდენიმე გუმიარაბიკი.

ლურჯი მელნისთვის: $23^1/_2$ მისხალ წყალზედ 7 მისხალი ღვინის მარილი[2]) და ამდენივე ჟანგარი[3]), ყველა ეს ერთად არეული უნდა ადუღოთ, მანამ ნახევარზედ დადგება და მერე ამაში გახსნათ წმინდად დანაყილი გუმიარაბიკი.

მწვანე მელნის მოსამზადებლად ხის წებოს[4]) სწყალში უნდა დაასველოთ არაყივით წმინდად დანაყილი ჟანგარი და ჩაასხათ ზაფრანის და მარიამ საკმელის[5]) წვენი თანაბარის წონისა.

# დეპეშა

12 მარტი

**პეტერბურგი.** 16 მარტს ოდესაში მოწოდებული იქმნება კრება რუსეთისა და სერბიის დელეგატებისა, სარკინისგზო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის იაგუბოვის თავმჯდომარეობით, რათა მორიგება მოხდეს სერბიასა და რუსეთს შუა პირდაპირის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

ამ დღეებში მოწვეული იქნება კრება, რომელმაც სჯა უნდა იქონიოს რკინის გზათა იმ ხარჯის შემცირების შესახებ, რომელიც მოსდით ხალხის მატარებლებზედ.

**ვენა.** ბუდაპეშტიდგან დეპეშით იუწყებიან: «გუშინ საღამოს სტუდენტებისა და ხალხის ბრბო შევარდა საოპერო თეატრში, დაიწყეს კოშუტის საგალობელის გალობა, წარმოდგენა შეაყენებინეს, ხალხი ლოჟებიდგან გაჰყარეს და სასახლის ლოჟაზედ სამგლოვიარო დროშა მიამაგრეს. ასეთივე ამბავი მოხდა საერო თეატრსა და ბევრს ყავახანაში. მეამბოხეთ რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან და ყუმბარების სროლას იმუქრებოდნენ. ოცამდე კაცია დაჭრილი.

1) Карминъ.
2) Кремортартаръ.
3) Мѣдянка.
4) Камедь.
5) рута.

## წერილი რედაქციის მიმართ

### სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავის და სამკითხველოს დაარსება ახალ-სენაკში.

(პასუხად ბ-ნს ბ. მიქაძეს.)

დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ბ-ნ ბ. მიქაძის წერილი «ივერიის» 41-ში შესახებ ახალ-სენაკის წიგნთ-საცავის და სამკითხველოსი. ბ-ნი მიქაძე თავის წერილში არწმუნებს მკითხველს საზოგადოებას, ვითომ მე ტყუილი დამეწეროს ამ სამკითხველოს გამო: „ბრძანებს თუმცა ასეთს ტყუილს, შეცდომით სავსე ლაპარაკს ყურადღება არ უნდა ათხოვოს ადამიანმაო..." რისთვის და რატომ ამბობს ამას? განა მან არ დაჰკეტა ჩვენი წიგნთ-საცავი? აქ რა შუაშია ბ-ნი კ. თავართქილაძე? განა თქვენ არ ჩააბარეთ თავართქილაძეს, წიგნთ საცავს ყურადღება მიაქციეო. თავართქილაძე ჰკრეფავდა შემოწირულებას წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, თუ თქვენი? თავართქილაძეს მოსვლამდე განა თქვენს ხელში არ იყო ყოველივე შემოწირულება? თავართქილაძემ თუ დაკეტა ბიბლიოთეკა, იმ მიზეზით დაკეტავდა, რომ მიქაძეს ერთის წლის ანგარიში არ მიუცია, თორემ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავართქილაძე ამ გვარ საქმეს არ ჩაიდენდა, პირ იქით, შემწეობას, აღმოუჩენდა. მიქაძე ადგა და მეც და ისიც მიწასთან გაგვასწორა. „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო," იმისა არ იყოს, ბ-ნი მიქაძე სცდილობს თავი გაამართლოს ახალ-სენაკის საზოგადოების და „ივერიის" მკითხველების წინაშე, მაგრამ ტყუილად. ბ-ნი მიქაძე: ბრძანებს „სენაკის საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის ფასტი, რა ანგარიშს მომთხოვდა და ან რას მივსცემდიო, როდესაც ჩემთვის არაფერი არ ჩაუბარებიათო" ნუ თუ ასეთი სიტყვები შეშვენის იმ გვარ ადამიანს, რომელიც დღეს, უვიცთა განმანათლებლად იტვლება? „მე არც გამგე ვიყავი და ვინც ირიცხებოდნენ გამგედ, ისინი თითქმის თავის ჯიბიდანაც ადებდნენო", ამბობს ბ-ნი მიქაძე. რას ადებდნენ? ამ ხნის განმავლობაში სახლისთვის ერთი კაპეიკი ხომ არ მიუცია და აბა რაში გამოიღებდნენ?.. ვინ ჩააბარა თავართქილაძეს ბიბლიოთეკა და ან დღეს ვინ არის გამგე, რატომ არ გამოაცხადეთ? რაც ბიბლიოთეკა დაარსდა იმ ხნის განმავლობაში, როგორც თვით მიქაძე სწერს, არც კრება ყოფილა, მაშასადამე 1891 წლიდან თვით მიქაძეს დარჩენია გამგეობა და აი ამიტომ იყო, რომ ორიოდე სიტყვა გსთქვით სამკითხველოს დაკეტვაზე. დასასრულ, ბრძანებს მიქაძე: „ბევრმა ხელი მოაწერა, მაგრამ ფული არ შემოუტანიათ და ყველანი დაინახავენ, რომ ფასტის იქ წილი არ უდევს და, თუ საჭირო იქნება, გამგეობა (?) ამასაც გამოაცხადებს—ო". ეს მეც ვიცი, რომ არ გამოგიცხადებიათ, თორემ, ღმერთი რჯული, რომ მეც პატარა წილი მიდევს, თუ არ ხელის მოწერით, შემოწირულებით მაინც იმ უგულმართო წიგნთ-საცავში და აბა სად გამოაცხადეთ? ეს ერთი მე ვარ და ჩემისთანები კიდევ ბევრნი სხვანი არიან. კვალად ვსთხოვთ ბ-ნს ბ. მიქაძეს საზოგადოების საცნობლად გამოაცხადოს მის-მიერ დასახელებული გამგენი ვინ არიან და ჩვენც იმათთან გვექმნება საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით მიქაძე იქნება პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე.

ფასტი
ახალ-სენაკი.

1894 წ. თებერვლის 25.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერია ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის დოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

თესლეულობით ვაჭრობა
ბ. ბ. ლარშესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მიიღო
ახალი თესლეულობა
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—9)


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე